ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
N6

ქ. თბილისი; 14 დეკემბერი, 2017 წ. 15:00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)
ავთანდილ ცინცაძე
დავით ჭელიძე
ქეთევან მამულაშვილი
თინათინ ნიბლოშვილი
გიორგი ჩაკვეტაძე
ლილე ლიპარტელიანი
ელენე ოზაშვილი

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საქალაქო სამსახურის უფროსი - გაიოზ თალაკვაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე - ლევან მიქავა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსი - ირაკლი თავართქილაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე - მაკა ნასრაშვილი

სხდომის თავმჯდომარე:

ლევან ჟორჟოლიანი
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქეოლოგიური საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 ივნისის №13-54 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის N33-94 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
4. „ქალაქ თბილისში, ფონიჭალის დასახლების III მიკრორაიონის კორპუსი #4-ში (საკადასტრო კოდი N01.18.13.022.003) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
5. "ქალაქ თბილისში, ბეჟან კალანდაძის ქუჩა №6-ში (საკადასტრო კოდები: N01.18.01.002.007.01.015 და N01.18.01.002.007.01.007) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
6. ქ. თბილისში, მელაანის ქუჩის III შესახვევის N34ა-ს მიმდებარედ, 3 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N 01.17.08.042.030) ნაზი დანელიასთვის (პ/ნ 01023000067) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საქალაქო სამსახურის უფროსმა - **გაიოზ თალაკვაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა განმარტა, რომ წარმოდგენილი ბიუჯეტის დაზუსტებული პროექტის მიხედვით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შენიშვნები. ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა განისაზღვრა - **861 609, 0** ათასი ლარით, რაც თავდაპირველ ვარიანტთან შედარებით გაზრდილია **46 398,9** ათასი ლარით. 43 მილიონი ლარი არის სპეციალური ტრანსფერის მუხლი, რაც არ იყო გათვალისწინებული წინა ბიუჯეტის პროექტში.

ბატონმა გაიოზმა აღნიშნა, რომ თბილისის ბიუჯეტში აისახება ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი 14 (თოთხმეტი) მილიონი ლარი, რომელიც ძირითადად მიემართება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ღონისძიებებისათვის.

თბილისის მერიის საფინანსო-საქალაქო სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ 2018 წლის ბიუჯეტით დედაქალაქის პრიორიტეტები განისაზღვრა:

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, აღდგენა და განვითარება - 130, 531,3 ათასი ლარით.
- ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება - 195 642,1 ათასი ლარით.
- ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - 88 089.3 ათასი ლარით.
- ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა 2 990,0 ათასი ლარით.
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - 29 925,7 ათასი ლარით.
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 189 539,5 ათასი ლარით.
- განათლება - 28 954,0 ათასი ლარით.
- კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა 28 954,0 ათასი ლარით.
- საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 3 158.3 ათასი ლარით.
- ქ. თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 75 333,3 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა** მომხსენებლის მიმართ დასვა შეკითხვა და დაინტერესდა, როგორ გადანაწილდება თბილისის ბიუჯეტისათვის დამატებით გამოყოფილი 14 (თოთხმეტი) მილიონი ლარი.

საკითხის წარმომდგენმა **ბატონმა გაიოზ თალაკვაძემ** განმარტა, რომ აღნიშნული თანხა 2017 წელსვე აკუმულირდება ტრანსპორტის კომპანიის კაპიტალში. კონკრეტულად კი, მოხმარდება თბილისის მეტროს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას.

სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ვინაიდან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურზე მიკუთვნებული ქვეპროგრამების განხორციელების წესები და პირობები მტკიცდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტით, ამოღებულ უნდა იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტის დანართის მე-19 მუხლში არსებული ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურზე მიკუთვნებული ქვეპროგრამების განხორციელების წესები და პირობები მტკიცდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ.

ბატონმა ლევანმა აღნიშნა ასევე, რომ სასურველია, დანართის მე-13 მუხლის მე-6 პუნქტიდან, რომელიც განსაზღვრავს ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამებს და ქვეპროგრამებს, ამოღებულ უნდა იქნას მითითება იმის თაობაზე, რომ ქვეპროგრამით განსახორციელებელი ღონისძიებების წესსა და პირობებს ამტკიცებს ქ. თბილისის მთავრობა და ზემოაღნიშნული მითითება დარჩეს მხოლოდ შემდეგ ქვეპროგრამებზე: „კომუნალური სუბსიდირება“ (კოდი: 06 02 01), „უფასო სასადილოებით მომსახურება“ (კოდი: 06 02 14; 06 02 14 06; 06 02 14 07; 06 02 14 08; 06 02 14 09; 06 02 14 10; 06 02 14 11; 06 02 14 12; 06 02 14 13; 06 02 14 14; 06 02 14 15), „თავშესაფრის მოვლა-პატრონობა“ (კოდი: 06 02 21).

ბატონმა ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ უნდა გამოსწორდეს ტექნიკური ხასიათის ხარვეზი და ამოღებულ უნდა იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტის დანართის VIII თავი, რომლითაც განსაზღვრულია დადგენილების ამოქმედების თარიღი.

სხდომის თავმჯდომარემ დასძინა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტის დანართის 21-ე მუხლი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“**მუხლი 21.**

1. საჯარო დაწესებულებაში „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, დამხმარე ფუნქციების შესრულების მიზნით შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობა განისაზღვრება „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად;

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობასთან დაკავშირებული შეზღუდვიდან გამონაკლისი დაიშვება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასთან შეთანხმებით.

3. საჯარო დაწესებულებაში „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, არამუდმივი ამოცანების შესრულების მიზნით შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობა საჭიროებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასთან შეთანხმებას იმ შემთხვევაში, თუ საჯარო დაწესებულებაში 30 დღეზე მეტი ვადით გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების რაოდენობა აღემატება შტატით გათვალისწინებულ ფაქტიურად დასაქმებულთა რიცხოვნობის 1%-ს. ხოლო, იმ ორგანიზაციებში, სადაც საშტატო რიცხოვნობის 1% შეადგენს 5 ერთეულზე ნაკლებს შრომითი ხელშეკრულებით დაქირავებულთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 5 ერთეულს.

4.„საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ" საქართველოს კანონის ამოქმედებამდე შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა საშუალო შრომის ანაზღაურება არ უნდა აღემატებოდეს შესაბამის საბიუჯეტო ორგანიზაციაში, გარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა, შტატით გათვალისწინებული თანამშრომლების საშუალო შრომის ანაზღაურებას. ამ პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვიდან გამონაკლისი შესაძლებელია დაშვებულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასთან შეთანხმებით.

5. საჯარო სამართლის იურიდიული პირის და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირის ფულადი ჯილდოს წლიური ფონდის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს შტატით გათვალისწინებულ თანამშრომელთა თანამდებობრივი სარგოს წლიური ოდენობის 5%-ს."

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა** და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი" წევრმა ქალბატონმა **ელენე ოზაშვილმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ - **მაკა ნასრაშვილმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის

კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქეოლოგიური საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 ივნისის №13-54 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ არქეოლოგიური პროექტების დაფინანსება იყო კულტურის საქალაქო სამსახურის სამწლიანი საბიუჯეტო პროგრამა, რომლის ფარგლებშიც დაფინანსდა არაერთი მნიშვნელოვანი არქეოლოგიური გათხრა.

ქალბატონმა _ მაკამ განმარტა, რომ აღნიშნული სამწლიანი პროგრამა დასრულდა, შესაბამისად, ნორმატიული აქტით დამტკიცებული დებულების საჭიროება აღარ არის.

მაკა ნასრაშვილმა ასევე აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტით ძალადაკარგულად ცხადდება ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქეოლოგიური საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 ივნისის №13-54 დადგენილება, რითაც ხდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **არქეოლოგიური საბჭოს გაუქმება**. მომხსენებლის თქმით, სწორედ საბჭოს წესით განიხილებოდა არქეოლოგიური პროექტების დაფინანსების საკითხი.

აზრი გამოთქვა:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა** მომხსენებლის მიმართ დასვა შეკითხვა და დაინტერესდა, ანაზღაურებადი იყო თუ არა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქეოლოგიური საბჭოს წევრობა.

ქალბატონმა **მაკა ნასრაშვილმა** განმარტა, რომ კომისიის წევრობა არ იყო ანაზღაურებადი. დამატებით აღნიშნა, რომ თბილისის წინა მთავრობის პერიოდში არსებული არცერთი საბჭოს წევრობა არ ყოფილა ანაზღაურებადი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სასურველია, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმად მუნიციპალიტეტის საკრებულოს **ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია საკრებულოს დადგენილება.**

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა** და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი“ წევრმა ქალბატონმა **ელენე ოზაშვილმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ - **მაკა ნასრაშვილმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის N33-94 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი არის თავისუფალი კოდების შესაბამისად შექმნილი ნორმატიული წესი, რომელიც მოიცავს თავისუფალი კულტურული და შემეცნებითი საგანმანათლებლო პროექტების მუნიციპალურ სუბსიდირებას.

მაკა ნასრაშვილმა აღნიშნა, რომ ვინაიდან, ძალადაკარგულად ცხადდება ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქეოლოგიური საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 ივნისის **N13-54** დადგენილება, საჭირო გახდა ცვლილების განხორციელება ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **N33-94** დადგენილებით დამტკიცებულ ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის პროგრამების განხორციელების წესში'', რომლიდანაც ამოღებული იქნება შესაბამისი პროექტის დაფინანსება.

აზრი გამოთქვა:

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ვინაიდან, წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს N33-94 დადგენილებით დამტკიცებული წესიდან პირველი მუხლის მე-6 პუნქტის ამოღებას, ცვლილება უნდა შევიდეს ასევე ამავე მუხლის მე-5 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

- ,,5. ამ წესის შესაბამისად, ღონისძიებების დაფინანსების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი ქმნის პროექტების განმხილველ კომისიებს (შემდგომში

კომისიები). კომისიების საქმიანობის წესი განისაზღვრება კომისიების დებულებით, რომელსაც ამტკიცებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი."

ლევან ჟორჟოლიანმა დასძინა, რომ კომისია, მიზანშეწონილად მიიჩნევს დადგენილების პრეამბულაში სამართლებრივ საფუძვლად საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის მითითებას.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა** და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი" წევრმა ქალბატონმა **ელენე ოზაშვილმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა - **ირაკლი თავართქილაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, ფონიჭალის დასახლების III მიკრორაიონის კორპუსი #4-ში (საკადასტრო კოდი N01.18.13.022.003) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროექტი ითვალისწინებს ქ. თბილისში, ფონიჭალის დასახლების III მიკრორაიონის კორპუსი №4-ში მდებარე უძრავი ქონების იმ პირთათვის საკუთრებაში გადაცემას, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით.

ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობა, ქ. თბილისში, ფონიჭალის დასახლების III მიკრორაიონში №4 კორპუსში მდებარე უძრავი ქონების იმ პირთათვის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ (დაახლოებით, 11 წლის მანძილზე) აღნიშნული უძრავი ქონებით.

სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგეობის წერილების გათვალისწინებით, **მიზანშეწონილად მიიჩნევს დაინტერესებულ პირთათვის უძრავის ქონების სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად გადაცემას.**

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა - **ირაკლი თავართქილაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისში, ბეჟან კალანდაძის ქუჩა №6-ში (საკადასტრო კოდები: N01.18.01.002.007.01.015 და N01.18.01.002.007.01.007) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, განკარგულების პროექტი ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, ბეჟან კალანდაძის ქუჩა №6-ში მდებარე უძრავი ქონების იმ პირთათვის საკუთრებაში გადაცემას, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მსგავსად წინა განკარგულების პროექტისა, ხდება **უძრავის ქონების სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად** საკუთრებაში გადაცემა იმ პირთათვის, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით.

აზრი გამოთქვეს:

ფრაქციის „ევროპული საქართველო - თბილისი" წევრმა **ქალბატონმა ელენე ოზაშვილმა** აღნიშნა, რომ მისი ინფორმაციით, ოქროყანას დასახლებაში არსებობს ოჯახი, რომელიც 1990 წლიდან ფლობს შესაბამის ფართს, თუმცა არ აქვს საკუთრებაში. აღნიშნულთან დაკავშირებით ქალბატონმა ელენემ იკითხა, შესაძლებელია თუ არა სსიპ ქონების მართვის სააგენტოსთვის წერილობითი მიმართვის საფუძველზე ოჯახს გადაეცეს უძრავი ქონება.

ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა განმარტა, რომ იმ შემთხვევაში, თუ, დაინტერესებული პირი დააკმაყოფილებს არსებულ კრიტერიუმებს, შესაბამისი პროცედურების გავლით შესაძლებელია საცხოვრებელი ფართის დაკანონება. ასევე დასძინა, რომ უძრავი ქონების გადაცემისათვის ძირითადი მოთხოვნა არის შესაბამის ფართში ხანგრძლივი დროით ცხოვრების ფაქტი.

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა **ქალბატონმა ლილე ლიპარტელიანმა** მომხსენებლის მიმართ დასვა შეკითხვა იმის შესახებ, თუ რა პრინციპით მოხდა კონკრეტულად ამ ოჯახების შერჩევა. ქალბატონი ლილეს ინფორმაციით, ამავე კორპუსში, სადაც გადაეცემათ პირებს ფართი არიან სხვა ოჯახებიც, რომლებიც ხანგრძლივი დროის მანძილზე ცხოვრობენ და არ აქვთ საკუთრების უფლება.

ბატონმა **ირაკლი თავართქილაძემ** განმარტა, რომ ვინაიდან, შუამდგომლობას აყენებს შესაბამისი რაიონის გამგეობა. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ რაიონულ გამგეობას და მოითხოვონ საკითხის ხელახალი გამოკვლევა და თუ, ისინი დააკმაყოფილებენ არსებულ კრიტერიუმებს მოხდება შესაბამისი შუამდგომლობის მომზადება. მომხსენებლის თქმით, გამგეობა კომპეტენტურად ახორციელებს თავის საქმიანობას და გამორიცხულია შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში გამოტოვებულ იქნეს რომელიმე ოჯახი.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილი განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

6. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა - **ირაკლი თავართქილაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქ. თბილისში, მელაანის ქუჩის III შესახვევის N34ა-ს მიმდებარედ, 3 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.08.042.030) ნაზი დანელიასთვის (პ/ნ 01023000067) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს განცხადებით მომართა ნაზი დანელიამ და ითხოვა „ქ. თბილისში, მელაანის ქუჩის III შესახვევის N34ა-ს მიმდებარედ, 3 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემა კიბის უჯრედის მოწყობის მიზნით.

საკითხის წარმომდგენმა აღნიშნა, რომ ამავე მთავრობის განკარგულების მიხედვით, ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის მიმდებარედ რეგისტრირებული უძრავი ქონების მესაკუთრე არის ნაზი დანელია.

მომხსენებელმა ასევე განმარტა, რომ არქიტექტურის სამსახურმა ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, შესაძლებლად მიიჩნია N01.17.08.042.022 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების მიმდებარედ კიბის უჯრედის მოწყობა.

ბატონმა ირაკლიმ განმარტა, რომ გადაცემა ხორციელდება შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

იჯარის მოქმედების ვადად განისაზღვრა 5 (ხუთი) წელი.

ხოლო, საიჯარო ქირის ოდენობად საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენილია აუდიტორული კომპანია შპს „კომპაუდის“ დასკვნით განსაზღვრული წლიური 45 (ორმოცდახუთი) ლარი.

აზრი გამოთქვა:

ბატონმა ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტს უნდა მიეთითოს გასაჩივრების ვადა, ვინაიდან, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, წერილობითი ფორმით გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში უნდა მიეთითოს ის ორგანო, რომელშიც შეიძლება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება, მისი მისამართი და საჩივრის წარდგენის ვადა.

შესაბამისად, განკარგულების მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, თბილისის საქალაქო სასამართლოს [illegible] კოლეგიაში (მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).“

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 35-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ი“ ქვეპუნქტისა და ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 47-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ი" ქვეპუნქტის შესაბამისად, წარმოდგენილ განკარგულების პროექტში, ხელმომწერ პირად უნდა მიეთითოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქმედი თავმჯდომარე - **გიორგი ტყემალაძე**.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილი განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე **ლევან ჟორჟოლიანი**

სხდომის მდივანი **თინათინ კასრაძე**